ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2883528

ნომერი: AR1447210

თარიღი : 06.10.2016

გაცემის თარიღი : 10.10.2016

გაცნობის თარიღი : 10.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის 1მ/რ-ში , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი IV (ნაკვეთი N1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 41 , - ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჯოხიძე პ/ნ 55001003350
- მირიან მეფის 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23

სექტემბრის №2852504 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 10 ოქტომბრის №AR1447210 განაცხადით მომართა ირაკლი ჯოხიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი№1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №41-ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60), შპს „მიგ ჯგუფი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანებაში არასწორადაა დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:
საცხოვრებელი ფართობი: 4418.2 კვ.მ ნაცვლად 4424.4 კვ.მ.-ისა, საზაფხულო ფართობი 790.3 კვ.მ ნაცვლად 789.8 კვ.მ.-ისა, ხოლო საერთო ფართი 6557.8 კვ.მ ნაცვლად 6563.5 კვ.მ.-ისა.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 4418.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 790.3 კვ.მ, საერთო ფართი 6557.8 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2016 წლის 23 სექტემბრის №2852504 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.